

N 23/006-2020

29 ივნისი 2020 წ.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2020 წლის 11 ივნისის N227 განკარგულებით დაიწყო შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია 4ფინანსი“-ის ლიკვიდაციის პროცესი. ამავე განკარგულების საფუძველზე ლიკვიდატორად დაინიშნა გიორგი ნაროუშვილი (პირადი ნომერი: 19001028319).

პირებს, რომლებსაც გააჩნიათ რაიმე სახის მოთხოვნა შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია 4ფინანსი“-ის მიმართ, 2020 წლის 29 ივლისამდე შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია 4ფინანსი“-ის ლიკვიდატორს გიორგი ნაროუშვილს (პ/ნ 19001028319) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით გამრეკელის ქ. N19, მესამე სართული, ოფისი N306, საკონტაქტო ტელ: 568 16 17 26, ელ. ფოსტა: naroushvili.liq@gmail.com, უნდა წარმოუდგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ფიზიკური პირების შემთხვევაში:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ორგანიზაციის მიმართ არსებული მოთხოვნის ოდენობა და მოთხოვნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები.

იურიდიული პირის შემთხვევაში:

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ორგანიზაციის მიმართ არსებული მოთხოვნის ოდენობა და მისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები.

ლიკვიდატორი
გიორგი ნაროუშვილი